

გაზეთის ღირებულება

თუთისში და გარეუბანებში	შაბათ-კვირის დღეებში	შაბათ-კვირის დღეებში
რედაქციის კანტორაში	შაბათ-კვირის დღეებში	შაბათ-კვირის დღეებში
რედაქციის კანტორაში	შაბათ-კვირის დღეებში	შაბათ-კვირის დღეებში
რედაქციის კანტორაში	შაბათ-კვირის დღეებში	შაბათ-კვირის დღეებში

# ქრონოსი

ხალის-მოსწავრა მიიღება:

საქართველოში

თუთისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიძის და კაპაძის სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამატუნის სახლში.  
 თუთისის გარეუბანში მკვლევართათვის ადრესი: ВЪ Тифлиси. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.  
 ქუთაისში — ბ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუსთან მაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.

ქრონოსი ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იქნა „დროების“ დასაბუქდათ, მაგრამ, რომლისავე მიზნის გამო, არ დაბეჭდეს.  
 თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მუშაობს.

### შინაარსი

საქართველო: სახალხო უკოლები რაქში (დროების კორესპონდენცია). — წერილი ამბები. — რუსეთი: — წერილი ამბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი. — წარსული კვირის ტელეგრაფები. — რუსეთის სახალხო მოძრაობა (დასასრული). — ნარევი. — რედაქციის განცხადება.

ორი დღე ეკალი ჩვენს ახალგაზრდა და მწერლობაში (წერილი რედაქტორთან) — „პოეტის“ მკითხველისა.

### საქართველო

სახალხო უკოლები რაქში

(„დროების“ კორესპონდენცია)

შველამ ვიცით, რომ ერთი უმთავრესი სახალხო ხალხის ზნეობისა და ცხოვრების ამოღებისათვის — სწავლის გავრცელება. ჩვენი ხალხი რომ ცოტათი განათლებული იყოს, რაც ახლა სიღარიბეა, რასაც ჩვენ ბოროტებას, ცუდ-კაცობას, ერთმანეთის დამცირებას, ერთმანეთში სიშურებს და განხეთქილებას ვხედავთ — არცერთი ესენი აღარ იქნებოდა იმ ზომამდე. მაშასადამე, ჩვენი ხალხის განათლებისათვის მთელი ჩვენი საზოგადოება უნდა ზრუნავდეს და არა მარტო სამღვდლოება, როგორც უფ. იოსელიანი ამბობს 1865 წლის „სასულიერო მახარებელში“. უფ. იოსელიანს როგორც ვერ მოუფიქრებია, რომ ამისთანა ძნელი საქმე მხოლოდ მთელი საზოგადოების მეცადინეობით და ძალით შეიძლება მოვიდეს სისრულეში და რომ ჩვენი სამღვდლოების მცირე ღონისძიებას ამ საქმეში ბევრის გაკეთება არ შეუძლია...

თითქმის ყველა სასოფლო უკოლები რაქში სამღვდლო პირებისაგან იყო გამართული, მაგრამ, როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს, დღევანდელი არცერთ იმათგან არ ჰქონია, რადგან საზოგადოება არ უმართავდა ხელს იმას ამ საქმეში.

მართს აქაურს მღვდლის შეილს, ნასწავლს სასულიერო სასწავლებელში, ჰქონდა ლენხუმში უკოლა და თითქმის ერთს წელს განატარა ამ უკოლაში; მაგრამ მას მამა გარდაეცვალა და ქერიც დედას მისსა და ობლებს არაფერს ჰყვანდათ მზრუნველი გარდა ამ ყმაწვილის კაცისა; ამისათვის იძულებული იყო ლენხუმში თავი დაენებებინა ამ უკოლისათვის და მისულიყო თავის მამის ღარიბს ოჯახში, სოფ. ბუგეულს. ამ ყმაწვილმა აქაც მოინდომა უკოლის გახსნა, მაგრამ ღარიბის კაცისათვის ყოველი მისი კეთილი სურვილი ისრე მარჯვეთ არ შესრულდება, როგორც მას ჰსურს, თუ შემწე არა ჰყავს. ს. ბუგეულს, სადაც ბინადრობს II ოტდელის მიროვი პოსტდენიკი და სადაც ორმოციოდე დუქანია, ერთს დუქანს უკან მოადგა ქვის სახლი და ტალახით შელესა. ამ უკოლაში ცხლა სწავლობენ 15 სხვა და სხვა წოდების ყმაწვილები; უკოლა ძლიერ პატარაა, ერთის პატარა ფანჯრითა, საიდანაც ძლიერ ცოტა სინათლე შემოდის; ის ხის დუქანზედ არის მიდგმული, ამისათვის სამი კედელი აქვს ქვისა და მეოთხე ფიცრის; პოლის ადგილს მსახურებს მოგებულნი მიწა, სტალი და სკამი ძლიერ უფარგისა; ამ ღარიბს უკოლაში ანუ ქაქში სწავლობს თუთხმეტი გლეხის-კაცის შეილი. მამაწვილებმა იციან რუსული და ქართული წერა-კითხვა, და ლოცვები აგრეთვე ორივე ენაზედ.

მასწავლებლის გულის-მოდინებაზედ ერთის ნახევრით დარწმუნდება კაცი, მაგრამ ის ასწავლის ძველის მეთოდით, რადგან იმდენი საშუალება არა აქვს, რომ თავისთვის და შაგირდებისთვის ახალი მეთოდის წიგნები შეიძინოს.

ყმაწვილების პატრონები აძლევენ მასწავლებელს შრომისათვის წელიწადში 4 მანეთს, თითო კასრს ღვინოს და თითო კადს სიმინდს.

სოფ. პატარა მონს სასოფლო უკოლის გახსნაზე, თუ ახლაც მკითხველს, წარსულის 1869 წლის „დროების“ 48 ნომერში სწერდა კორესპონდენტი. ადგილობრივმა მღვდელმა ეს უკოლა თავის ხარჯით დადგა, გვარაინი მოზდილი, სტოლები და სკამები წესიერია, სახლში სინათლე საკმაოა. შაგირდები სწავლობდნენ ამ უკოლაში ოცამდე; ერთხელ მქონდა შემთხვევა ამ უკოლის ნახვისა, სადაცა სიამოვნებით უყურებდი ყმაწვილების წიგნის კითხვას. ღიათხევა თუ არა მასწავლებელმა მასწავლებლები, პატარა წიგნების ქურჭელ მხარ-მღოლია ჩამოკიდებულნი მიჩქარებოდნენ სადილათ თავიანთ სახლებში. ამ დროს მათის მხედველისათვის სასიამოვნო იყო და სასიხარულო, რომ ნორჩი ყმაწვილები ამ მღვდლმარობაში იყვნენ და მოვლოდნენ სწავლას. მაგრამ მიუხედავად ამისა დიდი ზარალი შეუძლია: საუბედუროთ, დღეს ნაცელად ოცისა ოთხი ყმაწვილის მეტი აღარ სწავლობს, საიდანაც ცხადია, რომ უკოლა მალე დაიკეტება, რომლის მიზეზი არის სიღარიბე მასწავლებელი მღვდლისა და უმეტეს დაუდევრობა და უმეცადინეობა ადგილობრივის მამასახლისისა და ყმაწვილების მშობლებისა. ამ უკანასკნელებმა წლის გასათვის იხვეწება და მკრე მასპინძლობასაც უყინებს კაცს; მაგრამ გთხოვთ ამ შემთხვევაში ყურადღება მიამჯობოთ ამ ანდაზას: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.

რუსულს თურმე აღარა მისცეს რა მასწავლებელს, რომელსაც ალექსანდრე პეტროვი თვითო ყმაწვილზედ წელიწადში ოთხ-ოთხი მანეთი, და მასწავლებელს იმტოლი არ შეეძლო, რომ სახლის ამწენების გარდა ყმაწვილებისთვისაც მუქათათ ესწავლებიოს, რასაცა მისი ღარიბი მღვდლმარობა ვერ აიტანდა.

სოფ. სადამელს აქაურმა საზოგადოებამ დასდგა სამ-ოთხიანი სახლი აქაური პოდლესნიისათვის, მაგრამ რადგან პოდლესნიი დ. მონს გადვიდა ბინადრათ და სახლი უქმათ დარჩა, ადგილობრივმა მღვდელმა იმეცადინა, რომ ეს სახლი უკოლისათვის დაეთმო საზოგადოებას, რაიცა, შემდგომ მრავლის მიწერ-მოწერისა სასულიერო და სამოქალაქო მთავრობასთან, კიდევაც დარჩა სასწავლებლად. ამ უკოლაში ოც ყმაწვილზე მეტი სწავლობდა. აქ ასწავლიდა ერთი ყმაწვილი, ამ მღვდლის შეილი, სრულიად უზღვევლად, რომელიც მსახურებდა სამოქალაქო ნაწილში თორმეტ თუმან ჯამაგირზე და რომელმაც მამის რჩევით დასტოვა ეს ჯამაგირი და მიიღო თავის თავზედ ეს კეთილი შრომა. სწავლა ძლიერ კარგათ მიდიოდა, და რადგან ყმაწვილების პატრონს არა ეთხოვებოდათ, ამისთვის ისინიც მსურველნი იყვნენ თავიანთი შეილების სწავლაში მიცემისა; მაგრამ სახლი დაძველდა, ყვარში თითქმის ყოველს ადგილს წყალი ჩამოდიოდა, რაზედაც ბლოლიჩინის და მასწავლებლის მიწერილობას და სიტყვიერს თხოვნას ადგილობრივმა მამასახლისმა ყური არ ათხოვა, რომ შეეცეთებოდა; ასე რომ ბოლოს მასწავლებელს შეეშინდა სახლის დაზარებისა და ყმაწვილები თავიანთ სახლებში გაუშვა და უკოლა გაუქმდა. მხლა კი როგორც

### ორი დღე ეკალი ჩვენს ახალგაზრდა მწერლობაში.

წერილი რედაქტორთან  
 დიდის სიამოვნებით ენაშნა, რომ ეს 1871 წელი შეიქნა ქართველებს მწიგნობრობისთვის განახლების წლით. წელს გამოვიდა ქართველი თავმოყვარების წამაქმებელი წიგნი „დავითიანი“. ამ წიგნით იწყება განახლება ძველის მწიგნობრობისა, რომელიც მიუცილებლათ უნდა შეიქნეს ახალგაზრდა მწერლების საფუძვლათ; წელს დაიწყო ყურადღების მისაქცევა „ძრებულმა“ გამოსვლა. ამ წელს დაიბეჭდა და იბეჭდება რამდენიმე შესანიშნავი თხზულება ჩვენი ახალგაზრდის და მოხუცებულის მწერლებისა, რომელნიც, უფლებათთვის კვალს დაჩვენენ ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მართი სიტყვით, ამ წელმა თითქმის გამოავიწყდა ქართველების გონებითი მოძრაობა, რომელიც მომავლისთვის უნაყოფოთ არ უნდა დარჩეს. ჩემის აზრით, 1871 წელი უნდა შეირაცხოს ქართველებისთვის კანის გამომცემელ წლით. მით უფრო დაფრჩხი უკმაყოფილო თქვენის პატივცემულის გაზეთისა, უფალო რედაქტორო, რომ იმასში ვერ ვბოვებ ერთი ახალი განყოფილება, რომელსაც ჩვენზე უფრო ფრთხილმოსხმული ლიტერატურა ეძახის „ბიბლიო-

გრაფიულს შემეცნებას“. ეს განყოფილება ყოველს პერიოდულს გამოცემაში, ესე იგი ყურნალებში და გაზეთებში, გუშაგათ ანუ დარჯათ არის დაყენებული, რომ დაუძინებლათ ადვენოს თვლი ცხოვრებას და ყოველივე ახალი გონების მოსავალი, თუნდ იოტის ოდნაც რომ იყოს, მაშინვე აუწყოს თავის საზოგადოებას და ამისთანავე დამჯდარი მოსაზრებით აუხსნას, რა არის სასარგებლო, ან მავნებელი ამ ახალს ლიტერატურულს მოვლინებაში. მოხსენებელი განყოფილება აფხიზლებს მკითხველების გონებას; ის თანდათან უფრო აღუძრავს საზოგადოებას კითხვის სურვილსა. მართალია, „დროება“ ხან და ხან თითქმის კიდევ ცდილობდა ჩაეყენებინა თვის სვეტებში ამისთანა გუშაგი, მაგრამ ერთი რომ იმას ნიადაგი ადგილსადგომი არ ჰქონდა იქ და მეორე ვერცკი ასრულებდა ეს განყოფილება თავის გუშაგებას. ბიბლიოგრაფიული შემეცნება ძლიერ იშვიათად იწყებოდა „დროებაში“ და, რაცა დაიწყებოდა, მაშინაც არეულათ იწყებოდა: რეცენზიასაც ჰგავდა და კრიტიკასაც, მაგრამ ვერც ერთის დანიშნულებას კი ნამდვილათ ვერ ასრულებდა.  
 მგრძობ, ვგრძობ, პატივცემული რედაქტორო, რომ დიდს განსაცდელში ვაგდებ თქვენს მოთინებებს, რადგან ზოგიერთ სტუმარსავეთ ვიქცევი, რომელიც ვერ ღამის გა-

სათვის იხვეწება და მკრე მასპინძლობასაც უყინებს კაცს; მაგრამ გთხოვთ ამ შემთხვევაში ყურადღება მიამჯობოთ ამ ანდაზას: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.  
 და შემდეგ მომიტევეთ ჩემი ნაღვლიანობა. სულ ამავების დაწერა მეოთხე წიგნმა „ძრებულისა“ „მაფიქრებინა. ჩემის აზრით, ეს წიგნი არის ნიმუში ყოველ კეთილ სინდისიანათ გამოცემული ჟურნალისა. სწორე მოგახსენოთ, მე იმ ურწმუნოებში ვურევივარ, რომელთაც აქამდის არ სჯეროდათ ქართულ ენაზე ჟურნალის გამოცემა, იმის პროგრამის სრულათ ასრულება. ამავებში ჯეროვანი საბუთებიც მქონდა, მით უფრო, რომ რაც რამ აქამომდე ჩვენს ენაზე გამოცემულა ჟურნალების მგზავსათ, მე არ ვამბობ ვაზეთზე, თითქმის არცერთს იმათგანს არცერთს თავის ნომერში არ უჩვენებია ნამდვილი ნიმუში პერიოდული გამოცემისა. თქვენც კარგათ მოგახსენებთ უფალო რედაქტორო, რომ მე ვერ ამის მეტათ არცკი ამიღია კლაში, მით უფრო დიდის პატივისცემით უნდა მიემართო მეოთხე წიგნს „ძრებულისას“, რომელმაც ყველა თავის სტატიების ერთნაირი მიმართულებით ისე გაშა-ცოცხლა, რომ მწერალთ დასში გამრია. მსეე გრძობა მამდევს უფლებას, მკაცრათ გავი-ცხო ცალკე სტატიები, იმისთვის კი არა, რომ

მათი შინაარსი არ ეარგოდეს, არა; იმისთვის რომ ამ შინაარსს თავის ღირსი შემეკულობა, გამომეტყველება არა აქვს და თქვენც მოგეხსენებათ, რომ, თუ აზრი დამტყვევული სიტყვიერებით გამოითქვა, რაც უნდა გონების მიზნიდველი იყოს, მსმენელს მოგების მაგიერათ, უკუ-მაქცევს; რაც უნდა ძლიერი და მკლავ-გამკვეთი ვაჟკაცი იყოს, ბრძოლის წინ კარგი ბასრი ხმალი უნდა დაიჭიროს ხელში. იარაღი თუ კარგი არა გაქვს, ტყუილათ ბრძოლაშიაც ნუ შედინარ. ძარგი გაჩარხული ენა თუ არა გაქვს, ნუ ცდილობ, რომ ვინმე დააჯერო, რაც უნდა გონიერათ უქადაგო.  
 ამ შენიშვნის შემდეგ ჩემს საქმეს შეუდგები. წინდაწინვე მოგახსენებთ, ჩემი განზრახვა არ არის არც კრიტიკულათ განხილვა ცალკე სტატიებისა, არც იმ სტატიების შინაარსზე ვერცლათ ლაპარაკი. მე მინდა განსაკუთრებით ერთს რომელსამე სტატიაში ვაჩვენო ლექსთა თხზვის უშეგრობა და ზოგიერთი ალაგი, რომელიც სრულებით წინააღმდეგაა ესტეტიკის უმთავრესი კანონებისა. მე მინდა ამითი დაუჯერო ჩვენი ახალი მწერლები, რომ გავლენის მოპოებისათვის მკითხველებზე იარაღი უნდა გაუმჯობესონ. ამ განზრახვით მე ავიღებ პირველს მოთხრობას „მელაღუმეს“.  
 პირველივე თავი იწყება უხეროთ: „მე ოცი წლისა ვიყავი, პირუტყულმა ვიჯექი მე სკამზე“.

ამ შკოლის ეგრეთვე სასოფლო სამართლის სახლების აშენებას შესდგომია აქაური მამა-სახლისი, მაგრამ ძლიერ საწინააღმდეგოა, მისთვის რომ ორ სოფელზედ დაშორებული არის და მოსწავლე ყმაწვილებს გაუძნელდება იქ სიარული, მეორედ—ცხელი ჰავა არის და სახლების გვირდით ჩამოუდით მკრალი ღელე და არა აქვს კარგი სასმელი წყალი.

ს. მიქარაში დას, აქაურმა მღვდლის შეიღმა განხდა სასოფლო შკოლა. ეს შკოლა იყო სასოფლო კანცელარიის ერთ პატარა ოთახში და მეორეში თვითონ კანცელარია ჰქონდათ მოსამართლეებს; ორს წელს კი გამაგრა ამ მასწავლებელმა ეს შკოლა დაუქმებისგან და ბოლოს იმავე შეუწყვეტლობამ ბოლო მოუღო, შკოლა დაიკეტა და ესლა არაფერ მოსწავლეთაგანი აღარ დაიარება.

მარტო ამ ოთხი შკოლის განხით დაინახავს მკითხველი—თუ სასულიერო პირები. რა გულს—მოდგინეთ არიან ამ საქმეში, მაგრამ მარტო ერთს, როგორც ესტყვი, ცოტა რამ შეუძლია, მდიდარიც იყოს.

საზოგადოების ცუდი ხასიათის მიზეზი მათი უსწავლეობა არის, უსწავლეობის მიზეზი შკოლების უქონლობა და შკოლების უქონლობის მიზეზი საზოგადო ძალის უსწავლეობა და მოუხერხებლობა, და რომ ქარის წისქვილით შკოლები დღეს მუშაობდნენ და ხვალ არა, ესე იგი, დღეს განხდა შკოლა და ხვალ არ დაიკეტოს, საზოგადოებას, რომელშიაც შკოლა იხსნება, უნდა ექნეს შეგონება, რომ სახლები აშენონ ვარგისი და საკმაო, ზოგიერთი თავის საჭირო მოწყობილებით, საუკეთესო ადგილზედ, მასწავლებელს დაენიშნოს ჯამაგირი არა მარტო მათგან ეისი შეიღებიც სწავლობს, არამედ თვითვეთლის საზოგადოებაში მცხოვრების კომლისაგან იმ ზომადღე, რომ ამ მასწავლებელს შეეძლოს როგორც ამ თანამდებობის ასრულება, ეგრეთვე სასოფლო სამართლოში მწერლობის შესრულებაც. თუ ეს წესი დიწყია, არასოდეს შკოლაში ყმაწვილი, რაც არ განმარტდება, არ იკლებს; გლეხი-კაცი შეიყვანს, თუ არა, შკოლაში ყმაწვილს, მაინც უნდა ინადოს მასწავლებლის და მწერლის ჯამაგირი და გიჟი იქნება, არ შეიყვანს, თუ კი ჰყავს ახალგაზდა ყმაწვილი? ამ კეთილს საქმეში შემწეობა შეუძლიანთ, როგორც ესტყვი, ყოველი წოდების კაცი: მოსამსახურე ჩინოვნიკებს შეუძლიათ შეეწიონ

ფულით, წიგნებით, ქალღმერთ და სხვ., თავადებმა და აზნაურებმა ტყის მასალათი შკოლის სახლებისთვის და ფულითაც, სამღვდლოებმაც ყმაწვილების სწავლით, და ამით ყოველთა ესეც შეუძლიათ, რომ ხალხს შეაგონონ, რომელ შკოლის განხდა ძლიერ სასარგებლო და საჭირო საქმეა მათთვის, და რომელ ისინი, გლეხები, ვერასოდეს ვერ მორჩებიან, უსწავლეობით, იმას, რაც ესლა ისინი ზარალსა, განსაცდელსა და სიღარიბეში არიან. აი, საზოგადო ღონე და საშუალება შკოლების განხდასა სოფლებში, თორემ სიტყვით გეუბრდეს და საქმით არ დავამტკიცოთ ჩვენა ეს და ამ გვარი კეთილი საქმე, ის დამსგავსება უნაყოფო ხეს, რომელიც შეხედულობით ასიამოვნებს ყველას და სარგებლობა კი არა გამოდისრა.

მ. ა. შარაბიძე.

4 ივნისს 1871 წ. რუკა.

ძახეთის და მართლის ზოგიერთი სოფლები ამდღის ამბავი, რომ წელს, თუ სეტყვამ და გვალვამ არ წახანდინა მოსაველი, ნამუშევარი ბლომით მოვიო.

შურძნის მტევნებიც ჯერ კარგათ იყურებიანო. მაგრამ ჩვენი ხალხი შეეჩვია იმას, რომ ნაცარი ყოველ შემოდგომაზე მოუღებს ბოლოს ჩვენ ენახება. „ძაკვასაც“ მოსვლია ამბავი, რომ თიფლისის ახლო-მახლო სოფლებში კარგი ხილის მოსაველი არისო. პურის ფ.სი თიფლისში ამ უკანასკნელ ხანს დაიკლო: ფუთი კარგი ფქვილისა ამჟამად ქექვს ამაზეთ ღირს. ამ პურის გაიფუფის მიზეზი უთუთო მერმის კარგი მოსაველის იმედი უნდა იყოს.

\*\*\*

ამ თვის პირველს აქაურს ინსტიტუტში იყო აქტი, რომელზედაც, მგზარხოსა და სხვა თიფლისის წარჩინებულ პირებს ვარდა, კურს-შესრულებულ ქალების მშობლებიც დაესწრეს. ლოცვის შემდეგ ინსტიტუტის მდგომარეობის ანგარიში წაიკითხეს და კურს-შესრულებულ ქალებიც ჩაპოთაქეს. წელს გაუთავებიათ კურსი: მღვა ბურაშვილისას, მღვა მასილიფისას, მღვა ბეგ ბარაგისას, ბარაგ ბეგბაგოვისას, ბარაგ ხორუქოვისას, პეღაგა ნაცვალისას, მღვა მანაშოვისას, მღვა სერაფიმოვისას და მარათ მელიქოვისას.

\*\*\*

მეთერთმეტე გვერდზედა ნათქვამი: „... მიზანდული თვალები...“ აღბათ მიბედილი უნდა ვთქვა.

მორცდა მეექვსე გვერდზე: „...ძარგა ფული წააღლიტესო...“ აღბათ ავტორს არ სცოდნია ამ სიტყვის მნიშვნელობა, თორემ არ იხმარდა.

ამისთანა წერილმანი შეცდომები ბევრია და, თუ ახალი მწერალი არ გაუფთხილდა, კითხვის შეჩვევის მაგიერათ, ყველას კითხვას გადაჩვევს.

ახლა მომხბო შეცდომებს მივაქციოთ ჩვენი ყურადღება. შეუდგეთ იმ ალაგვის განხრეკას, საცა თავი-და-თავი ესტეტური კანონები დარღვეული. როგორც მოგვხსენებთ, თავი კანონი ესტეტისა არის ცხოვრების სურათის სიტყვით გაცოცხლება; მაგრამ, როდესაც სურათი გაცოცხლების მაგიერათ გამოიხატება ისე, რომ ძნელათ წარმოსადგინი შეიქმნება კაცისთვის ან ტკინის გვართ წარმოიდგენს და არა ცოცხალს, აი ამით ირღვევა ესტეტის თავი კანონი. მაგალითად, მეოთხე გვერდზე ავტორი სინკოს სურათს ამ ნაირათ წარმოადგენს: „...თვზე, თითქო ქული, გიშვრითი შავი, დახუჭუბული თმა, ვედა...“ ამ სურათში ყველაფერს წარმოიდგენს კაცი და ხუჭუჭთმან ყმაწვილს კვერ წარმოიდგენს. ავტორ-

რუსეთი

„ბირუს უწყებებში“ სწერენ, რომ ნიჩევის საქმე, რომელშიაც ოთხმოც კაცამდარიან გარეულნი და რომელიც ერთ თვეზე მეტს გაგრძელდება, 1 ივლისს დაიწყება პეტერბურლის სამოსამართლო პალატაშიო. ამ პოლიტიკურ საქმეში გარეული დამნაშავეების გამამტყუნებლათ დანიშნულია სამოსამართლო პალატის პროკურორი—პოლოცკევი—და ადვოკატებთ ძალიან ბევრი იქნებან, იმათ შორის, როგორც ამბობენ, სასოვენიც ურეგია თურმე.

\*\*\*

დამკვირვებელი კაცებისაგან შენიშნულია, რომ უმეტესი ნაწილი დამნაშავეებისა ყოველთვის ღარიბი და უმიწა-წყლო ხალხია, რომელსაც კანონიერი საშუალებით ლუკმაპურის მოპოება გაჭირვებია. ამიტომაც განათლებულ ქვეყნებში ყურადღება მიექცევა ახლა იმას, რომ ღარიბ ხალხს შრომისა და საცხოვრებელი ღონის-ძიების შეძენის საშუალება მიცენ. მანსკუთრებითი ყურადღება ამ მხრით ახალგაზდა დამნაშავეებზე მიქცეული: იმათ მუქთად იღებენ სასწავლებელში, ასწავლიან რომელსამე ხელობას, რომ თავის ცოდნით და ხელობით შემდეგში პატიოსნათ შეეძლოს თავის დარჩენა, იმათთვის ყიდულობენ შესამუშავებელ მამულებს და მმართვენი კოლონიებს. ამ საქმეში, მმართველობას გარდა, თვითონ საზოგადოებაც დიდ მონაწილეობას იღებს. ამ უკანასკნელ დროს, როგორც ერთს რუსულ გაზეთში სწერენ, პოლშის სამეფოს ნამესტნიკს წარუდგინა პეტერბურლში პროექტი, მარშავში ახალგაზდა დამნაშავეებისთვის კოლონიის გამართვის თაობაზე. მმართველობა დაუთმობს ახალგაზდა დამნაშავეებს სახნა-სათეს მიწებს, რომელსაც ისინი შეაშუავეებენ და ამ ნაირათ თავის ხელების შრომით თავის სარჩოს მოიყვანენ და თან შრომასაც შეეჩვევიან. აქვე იქნება იმათთვის გამართული სადგომები, სადაც ისინი იცხოვრებენ და თან წერა-კითხვასაც ისწავლიან.

\*\*\*

მთხი თევია მას აქეთ, სწერენ ერთს რუსულ გაზეთში, რაც პეტერბურლის უნივერსიტეტის რექტორმა—ძესლერმა—წინადადება მისცა უნივერსიტეტის რჩევას, რომ 1,600 მან. საჩუქარი (პრემია) დაუნიშნოთ იმას,

ვინც სახლობ მასწავლებლებისთვის სასარგებლო წიგნს დაწერსო. უფ. მისტეხის აზრით, კარგათ შედგენილი სახელმძღვანელო სტრუქტურის, გეოგრაფიის, ბუნების მეცნიერების და მეურნეობისა ძალიან სარგებლობას მოუტანდენ ხალხის განათლების საქმეს. სახლობ შკოლების მასწავლებლებს მარტო ის კი არ უნდა მიჩნდეთ თვითანთ ვალდებულებათ, რომ გლეხ-კაცების შეიღებს წერა-კითხვა და ანგარიში ასწავლონ; არა, იმათი ვალდებულება ისიცაა, რომ თვითონ ხალხში გაავრცელონ ისეთი სწავლა და ცოდნა, რომელიც ამ ხალხს პირდაპირ ცხოვრებაში გამოადგება; და ამისთვის კი ყველაზე უფრო ისაა საჭირო, რომ თვითონ სახლობ შკოლების მასწავლებლებს ჰქონდეთ რიგიანი სახელმძღვანელოები.

\*\*\*

მღვის სამასწავლებლო მარხის მზრუნველმა წინადადება მიცა იქაურ დირექტორებს, რომ იმ გიმნაზიელებს, რომელნიც მეხუთე და მეექვსე კლასიდან გამოდიან და დანიშნულ ვადაში (შვიდ წლამდის) სურდთ, გიმნაზიის კურსის შესრულება, ეგზამენის დაქვრის ნება არ უნდა მიეცესო. უფ. მზრუნველის აზრით, ეს ადრე კურსის შესრულება ვნებს ყმაწვილი კაცის სწავლას. მათეი „ხმა“ კითხულობს ამაზე: „რ.თ უნდა ჰქონდეს გიმნაზიელს აღკრძალული ნახევარ წელიწადში ერთი წლის კურსის შესრულება, თუ ნიჭი და დედამისის შეძლებაც ნებას აძლევს? თითქოს უფ. მზრუნველს ჰსურს რომ ყმაწვილ კაცებს მეცადინეობა და სწავლის ხალისი შეუკავოს?“

\*\*\*

სერპუხოვის უფლებში ამ ჟამად სულ ასი სასოფლო შკოლაა, მაგრამ ზოგ იმ შკოლებში, სადაც მღვდლები არიან სასწავლებლების მმართველათ, სწავლა რიგიანათ არ მიდის თურმე. თითო სასოფლო შკოლის მასწავლებელს ეძლევა თვეში თუმინდამ თუთხპეტ მანეთამდი. ამას გარდა თითქმის ყველა სასოფლო შკოლებთან პატარ-პატარა წიგნის მაღაზიებია გამართული.

\*\*\*

ხოლერა ისევ გაძლიერებულა პეტერბურლში, ასე რომ საექიმო გაზეთებში სწერენ, თუ ამ თავით არ მივიღეთ რიგიანი თადარიგი, შესაძლებელია, წელს ზაფხულს ძალიან გაძლიერდეს ეს საშიშელი ავადმყოფობა და მერე იმის თავიდან მოშორება კიდევ უფრო ძნელი შეიქნებაო.

\*\*\*

რა და უკარგათ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი?

ამ სტატიაში არის ისტორიულათ განხილული დედ-კაცებს განათლების გამო როგორ თანდათან უგრძნიათ თავისი დაჩაგრული მდგომარეობა და როგორ უფრო და უფრო ეძებენ იმდენი უფლების მოპოებას, რამდენიც კაცებს აქვს სახელმწიფოში. შპათერესი ნაკლებეანება ამა სტატიისა, როგორც სხეებისა, ის არის, რომ ალაგ-ალაგ ლექსთა თხზვაში შეუფერებელი გამოვრება ზოგიერთ ლექსებისა და იმის ავტორს ეტყობა, რომ ჯერ კიდევ კარგათ ვერ დახელოვნებულა წერაში.

ბოლოს „პრებულის“ ფელტონი სწორეთ კარგი რამ არის. იმასში ცოცხლათ, მახილ-გონებინათ და გრძობით არის გაოხატული განჩევა ქართლებმა და იმერლებს შუა. მხოლოთ მე ვერ შემიტყვია, ავტორი მარტო ქართლებს რათ ეთხის ქართველებსა, თითქო იმერლებიც ქართველები არ იყვნენ... საზოგადოთ „პრებულის“ მეოთხე ნომერი მშვენიერათ არის შედგენილი და იმისი უმთავრესი ნაკლებეანება მოხვედლობაში ჯერ კიდევ გაუჩარხაობა. იმედია, ეს ნაკლებეანება თან და თან მოისპობა, თუ იმის მწერლები ჯეროვანს ყურადღებას მიექცევენ ამ საგანს.

„პრებულის“ მკითხველი.

და სხე... ამას რომ კითხულობ, თითქოს გინდა იმის ავტორს დაცინო. სიტყვით: მე, მე, მე... და სხე. პეტრომა უნდა იცოდეს, რომ მოთხრობაში მესა ხმარება ხშირად არ უხდება. ამას გარდა პირველი წინადადება და მეორე ისე დაშორებული არიან აზრით ერთმანერთზე, რომ თითქოს ავტორი მოთხრობის დროს რამდენსამე თაბახზე გადახტარა და შემდეგ ხელობა დაუწყა წერაო. ეს კიდევ არაფერი, შემდეგ: მეცხრაპეტე გვერდზე: „...ერთმა ამ ჩემ ნაცნობებთაგანმა, ერთს საღამოს, მოვიდა ჩემთან...“; ოცდა მეთერთმეტე გვერდზე: „...ჩემმა ნაცნობმა მოიწა...“ და სხე. სამხურთი კილოს შემოპარება ქართულს ლიტერატურაში ძალიან სათაკილო უნდა იყოს ყოველი მწერლისთვის, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ იმერლები უფრო ხშირათ ლაპარაკობენ სამხურთს კილოზე და სწერენ კიდევ, თუმცა იმერეთში სომეხი იშვიათად მოიძებნება.

შავგზძელათ ჩვენი ძიება. მეჩვიდმეტე გვერდზე: „...მისი თვალები მიმზადებ ნაირათ კასკასობდენ ჩემ-ჩემათ...“ თვალების კასკასი არ გამოიგონია. იქნება მოცინარი თვალები უნდადა გამოეხატა ავტორს. მერე თვალების კასკასი და ისიც ჩემათ; კასკასი ხმა-მალდა შეიძლება და ჩემათ კი არ გამოიგონია.

სამარაში შემდგარა საზოგადოება, რომლის დანიშნულება ის იქნება, რომ ხელი მოუხარ-  
 თოს ყველა ღირსეულ ახალგაზრდას ემსახურებინა,  
 რომელნიც მოსურებენ უნივერსიტეტში, სა-  
 ექიმო პედიატრიაში და ტექნოლოგიურს ინს-  
 ტრუტში სწავლის მიღებას. იმას გარდა რომ  
 საზოგადოება გაგზავნის თავის ხარჯით კურს  
 შეკრულებულ ახალგაზრდას ემსახურებს, უნი-  
 ვერსიტეტში კურსის შესრულების შემდგომ  
 ეცხვება, რომ ადგილი და თანამდებობა რამე  
 უმოგონოს იმათ.

\*\*\*

## უცხო ქვეყნები

### საზარანგეთი

— 9 იანვრიდან ვიდრე 17-მდე 50,000  
 საფრანგეთის დატყვევებული სალდათები უნ-  
 და დაბრუნებულნი იყვნენ ზერმანიაში და თაიანთ  
 სამშობლოში. ამათ გარდა 100,000 სალდა-  
 თი და აფიცრები კიდევ დარჩებოდნენ ზერ-  
 მანიაში; ამ იენისის დასასრულამდე, როგორც  
 გაზეთებში სწერენ, ამათაც დაბრუნებენ თურ-  
 მე საფრანგეთში.

— 4 (16) ამ თვისას მერსალის ნაციონალური  
 კრების სხდომაში დებუტატმა ზაზა შეიტანა  
 წინადადება, რომლის ძალით ამ კრებას ორი  
 წლის განმავლობაში კიდევ უნდა ექნეს ძა-  
 ლა და ტიერაც ამ დროს გასვლამდე აღმა-  
 სრულებელი უფლების თაით უნდა დარჩეს.  
 ამ დღესვე მეორე დებუტატმა შეიტანა კრე-  
 ბაში მეორე წინადადება, რომელიც თხოუ-  
 ლობს, ისეთი კომისია დაენიშნათ, რომ-  
 მელმაც საფრანგეთის მმართველობის  
 ფორმა ამოიჩინოს.

— პარიჟში და მერსალში ცოტ-ცოტათი  
 იკრებიან ისეთი პირები, რომელნიც აღრინ-  
 დელი მმართველობის ბრძანებით გადღებულ-  
 ნი და სამართალში მიცემულნი იყვნენ. სხვა-  
 თა შორის ამ მოკლე ხანში პარიჟს მისუ-  
 ლა უკანასკნელი მინისტრი ნაპოლეონისა—  
 პალიკაო და მერსალში, სხვა ნაპოლეონის  
 დენერლებს და მინისტრებს გარდა, ზაზენიც  
 მისულა, რომელსაც საფრანგეთის ლალატს  
 და მცის სიმგზის გაყიდვას აბრალდებენ.

— ახალმა სენის პრეზენტმა—ლეონ—სემ  
 —გადასაკუთრებით ყურადღება მიაქცია მუშე-  
 ბსა. იმან ურჩია თურმე შინაგანი საქმეებს  
 მინისტრს, ლამბრეტს, ყველა პროცინციების  
 პრეზენტებს მიწერილობა გაუგზავნოს, რომ  
 უპასპორტოთ არცერთი მუშა არ გამოაშვან  
 პარიჟში. ამნაირი საშუალებით, ტიერის მმარ-  
 თებლობას ჰსურს, რაც შეიძლება ცოტა მუ-  
 შები იყვნენ პარიჟში, რადგან ამ უკანასკნე-  
 ლი არეულებიდან ამოჩნდა, რომ ყველაზე  
 თავ-გადადებულნი ბრძოლაში უმინაწყოლო  
 მუშები იყვნენ თურმე. ამას გარდა მმართვე-  
 ლობას გადაუწყვეტია, რომ ყველა რკინის  
 გზის ქარხნები პარიჟიდან უნდა გადაიტანონ.  
 ამითაც პარიჟი მოიშორებს თავიდან ოცი  
 ათას მუშას.

— ამ ცოტა ხანში პარიჟიდან 50 ათას სალ-  
 დათს გზავნიან ლიონში და 50 ათასაც ისევ  
 მერსალში აბრუნებენ. თუმც ამ ქაზად პარი-  
 ჟი სრულიად დამშვიდებულია, მაგრამ, ამბო-  
 ბენ, ზოგიერთ უბნებში კიდევ ეშინიანთ არე-  
 ულობისა. ინსურგენტების და იმათი მოთა-  
 ვეების დატყვევება ჯერაც არ გაუთავებიათ:  
 ყოველ დღე რამდონსამე პირს იჭერენ თურ-  
 მე და სამართალში აძლევენ. მაგრამ ისე გა-  
 ნუთხვანთ, ას და ორას კაცს ერთად, რო-  
 გორც აღრე შერებოდნენ, ახლა აღარ ხერე-  
 ტენ მმართველობის ჯარები. სულ 40,000 კა-  
 ცი და ქალია თურმე თითონ პარიჟში და  
 მერსალში დატყვევებული. ზოგ დამნაშავე-  
 ებს, მსუბუქი ჩვენების ჩამორთმევის შემ-  
 დეგ, იქვე ხერეტენ; უფრო მამატებულს კი  
 ახალს ძალედონაში და ძენაში აგზავნიან სა-

მუდამოთ დასასახლებლათ. ზამოუნგარიშები-  
 ათ, რომ ამ საშინელ ქვეყნებში, სადაც საშინე-  
 ლი დამალი და კაცის აგ ბულობის მომკლე-  
 ლა ბუნებაა, 20 ათასი ქლი და კაცო უნდა გაი-  
 გზავნოს. რამდენიმე ათასი კიდევ გაუგზა-  
 ვნიანთ და დანარჩენებისთვის ხომალდები მზათ  
 არისო.

— ხალხთა შორის მუშების ასოციაციამ  
 გამოცა პროტესტი მერსალის მმართველობის  
 მოქმედების წინააღმდეგ. ამ პროტესტში  
 სხვათა შორის სწერია: „პარიჟმა გიჩვენათ—  
 რა შეუძლია ხალხს; ჩვენ ვეცდებით, აღრე  
 თუ გვიან, ჩვენი მოძმე მუშების მოკვლა გა-  
 უხალათ ჩვენ დაუფიქრებლად; ჩვენ ვეც-  
 დებით განეთავისუფლდეთ ჩვენ ადამის-წლის  
 მტრებისაგან: ჩვენი მღვდლების და თანხის  
 პატრონებისაგან!“

— ზოგიერთ დებუტატებს ჰსურთ წინადა-  
 დება შეიტანონ ნაციონალურს კრებაში, რომ  
 ნაპოლეონი მესამე ზერმანიასთან ომის დაწყ-  
 ებისთვის და იმის ცუდათ წაყენისთვის სა-  
 მართალში მიეცესო. ამ გარემოებას, რასა-  
 კვირველია, მხოლოდ ის მნიშვნელობა ექნე-  
 ბა, დანახოს ხალხს, რომ ს.ფრანგეთის და-  
 მკირების მიზეზი ის იყო და ამ ნაირათ შეა-  
 ძულოს იმას ნაპოლეონის შთამომავლობა.  
 ამ ქაზად, როდესაც ნაპოლეონის მომხრეები  
 ყოველ ღონისძიებას ხმარობენ საფრანგეთ-  
 ში ისევ დაბრუნებისა და ნაპოლეონის ტახტ-  
 ზე აყენისათვის, ამ საქმეს, უეჭველია, დიდი  
 მნიშვნელობა ექნება.

— ნაციონალურ კრებაში 114 დებუტატი  
 აკლია, რომლებს ამოჩნდია ორ იღლისს უნ-  
 და მოხდეს. რადგან ახლანდელ ნაციონალურ  
 კრებაში უმეტესი ნაწილი დებუტატებისა ბურ-  
 ბონების და ორლიანების მომხრეები არიან  
 და რადგან ამ კრების შედგენილობაზე იქნე-  
 ბა დამოკიდებული საფრანგეთის მმართვე-  
 ლობის ფორმის ამოჩნევა, ამიტომ ყველა  
 პარტიები ძალიან გაცხარებულათ სცილო-  
 ბენ, რომ თეიანთი მომხრე დებუტატები ამო-  
 იჩინონ.

— ზოგიერთს პროცინციალურს ქალაქებ-  
 ში ნაციონალური გვარდია დაითხოვება; ლე-  
 ნერალი ლუეს დეიზია ლიონში გაუგზავნი-  
 ათ, იქაურ ნაციონალურ გვარდიისთვის თოფ-  
 იარაღის ჩამოსართმევით.

### წარსული ამირის ტელეგრაფები

მ ე ნ ა, 10 იენისს. ბეიტმა გამოაცხადა,  
 რომ აესტრისა უცხო სახელმწიფოებთან კარ-  
 გი განწყობილება აქვს; არ არის საფუძველი  
 რომ რუქითან განხეთქილება მოხდეს.

პ ა რ ი ჟ ი. საფრანგეთმა სესხი გამოაცხადა  
 ს. პ ე ტ ე რ ბ უ რ ლ ი, 11 იენისს. პარიჟში  
 გასაგზავნი ტელეგრამები მიიღება, მაგრამ  
 ხზოლოთ ისეთნი, რომელნიც საფრანგეთის  
 სესხს შეეხებიან.

### დაბუსადეზული ნათლია

მოთხრობა აუერბანისა

(დასასრული)

### VIII

ს ა დ ი ლ ი და ა ლ ხ ს ნ ა.

სადილზედ მალენტინი გამოქყლებილი იჯ-  
 და მაიორზას და პასტარს შუა და არ შეეძ-  
 ლო მონაწილეობის მიღება საზოგადო ლაპა-  
 რაკში; როდესაც საზოგადოება ლეონო ცო-  
 ტა გამხიარულა და შამფანსკის პრობკა ქერს  
 ეცა, მაშინ მკერვალს ლეიტენანტმა შეპყვირა:

— შუ. მალენტინო, თქვენ, როგორც უს-  
 ტაბაშს, შესხმის თქმა გეცოდინებათ; თქვით  
 რამე მინცა ახალ დაბადებულის პატივისთვის.  
 — ჰო, ჰო, თქვით—მოსამ ყოველის მხრით.  
 შევლას უხაროდა, რომ მიეცათ შემთხვე-

ვა და ცინისა და ცოტანი არ იყენენ იმათში  
 იმისთანანი, რომელნიც მოითმენდნენ ყვე-  
 ლა უზრდევობას, ოღონც კი როტმისტრი-  
 სათვის, იმათი მასპინძლისათვის, მიეცათ რამე  
 უსამაონება. რისთვის აქვს იმას მდიდრათ  
 მოწყობილი სახლი, რისთვისა ჰყავს მშვენიე-  
 რი ცხენები და იმის ცოლს რათა აქვს მდიდ-  
 რული სამკაული?

როტმისტრი იტყობოდა თავის წინ თეშ-  
 ში; მაგრამ მალენტინმა ბეერი აღარ იფიქრა,  
 წამოგა და დაიწყო:

— მე შესხმის თქმა არ ვიცი, მაგრამ ის,  
 რაც რომ მსურს ამ ბავშვისათვის, შემძლიან  
 გითხრათ: მაგას დაარქვეს სახელები თავის პა-  
 პებისა და ამ ქაზათ ისინი იქ არიან, სადაც  
 გარჩევა არ არის თეთრ ყასბის ფართუში და  
 მურდირში, სადაც არ არის არც ყასბის და-  
 ნები და არც ხმლები, და სადაც სულ ერთია,  
 აღმადლებულა დასაცემად ხმალი კაცზედ, თუ  
 დანა პირუტყვზედ; და როდესაც ჰურჯობა ამა-  
 ზედ, გჩვენება რაღაც სხვა ნაირად მოქმედე-  
 ბა ხალხისა. ზამოდის ერთნაირად სისულელე,  
 მრუდეს თვალთ უტყერის მდაბალი მოქალა-  
 ქე კეთილშობილს, თუ კეთილშობილი მდა-  
 ბალ მოქალაქეს. მაშ, ჰო, აი რა მინდოდა  
 მეთქვა: ჩვენ გვსურს ახალ-დაბადებულისთვის,  
 რომ ის გამოვიდეს პატიოსანი მოქალაქე და  
 ბოროტების მებრძოლე ერთსა და იმავე დროს.  
 ლმერთმან აღდგებდლოს ის!

შეველამ განიგორა: ლმერთმან აღდგებდ-  
 ლოს! მალენტინი გარეშე მოიყრებოდა; იმას  
 ჩვენა, ვითომც წრეს გარეთ გავიდა. მაგრამ  
 ყველანი წამოდგნენ და თეიანთი სტაქნები  
 შემოჭრეს იმის სტაქანს; როტმისტრმა ხელი  
 ჩამოართვა. — მაშ ეტყობა ყველა კარგათ  
 არის—ფქობდა მასტერ მალენტინი; იმას კა-  
 რგათ არცკი ახსოვდა, რა სთქვა, და იყო მხი-  
 არული და კმაყოფილი, და როდესაც ჯდებოდა,  
 გაუცინა კიდევ მაიორზას. როტმისტრმა, და-  
 ჯდამის დროს, ჩუმათ უთხრა ლეიტენანტს:

— ქუზენ (ბიძაშვილი), გთხოვ ხელი აი-  
 ლოთ ბიძისაგან.

— შემოდი! წინ წადეკით, აგერა ზის მას-  
 ტერ მალენტინი—უცეფ მოულოდნელათ შე-  
 სძხა ბლუმემ და, მივიდა რა მალენტინთან,  
 დაუმატა: ალე, აი ესენი გკითხულობენ.

მალენტინი იმ წამსვე ვერ მიხვდა, რა ამ-  
 ბავი იყო და იტყობოდა განკვირებული;  
 ვერა სცნობდა ხელოსნის შაგირდებს, თავის  
 მომგზავრებს, რომელნიც თითონვე მოიწეო-  
 აქ; მას აქეთ, და მეტადრე ამ მინუტში, ის  
 იმყოფებოდა სრულებით სხვა ქვეყანაში.

— უკრავათ, უუ. მასტერო—უთხრა ხა-  
 რაზმა:—შრიც ბლუმემ, რომელსაც შეეხვდე-  
 ბოდი ხოლმე ხელოსნების საზოგადოებაშია,  
 აქ შემოგვიყვანა: ჩვენ არ ვიცოდით, თუ აქ  
 სტუმრები იყვნენ.

როტმისტრი წამოგა, მივიდა იმათთან და  
 ჰკითხა—რა გსურთო? შეველამ დაუწყო ამათ  
 ცქერა: ესლავ უთუოთ მოხდება რამე!

— შუ. როტმისტრო, მოვიდა რა ბოლოს  
 გულის-ხმას,—დაიწყო მალენტინმა:—მე ორი-  
 ვენი ხელოსნის შაგირდები არიან, რომლებ-  
 საც გუშინ დიდგზაზედ შეეხვდი. მოწყალენო  
 ხელმწიფენო და მოწყალენო ქალბატონებო!  
 მიუბრუნდა მთელს საზოგადოებას:—მე მსურს  
 ორიოდ სიტყვის თქმა, თუ ნებას მიბოძებთ,  
 გთხოვთ გაიგონათ?

— ჰო, ჰო, მოსამ ყოველის მხრით.

— მაშ გაიგონეთ; აი, რა არის ყველაზედ  
 კარგი ქვეყანაში: ყველას ჰყოლია მამა და  
 დედა, და დაბადება ყველასი განარბიანთ.  
 ჩვენი ბავშვი ყველაზედ უფრო ბედნიერია:  
 ამის ნათლობის წვეულებაში მოდიან უცხო  
 პირებიც ქუჩიდან. ამითი იწყება იმისათვის  
 ყველაზედ უკეთესი, რასაც იმისათვის ვისურ-  
 ვებთ. და ლმერთმან მიანიჭოს მაგას მთელს  
 თავის ცხოვრებაში ყველაზედ უმღვდესი ბე-  
 დნიერება—სიხარულის მოტანა ხალხისათვის;

ამაზედ უმადლესი არა არის რა...

— ძარგათ ლაპარაკობს, ძარგათ ქარგობს, [[  
 უცხადებდა თავის მეზობელს. [[  
 მაგრამ იმას სთხოვეს ჩუმათ იჯდეს, და  
 მალენტინმა ისევ განაგრძელა:

— და ამისათვის ამ მოტანტალე ხელოს-  
 ნის შაგირდებს, რომელათაც ვიყავ ოდესმე  
 მეც, უნდა განუყოთ ჩვენ სასაღვდევლო  
 ღენო და ქადა. აჰა, დაიჭით,—დაუმატა იმან,  
 მისცა რა თეითოს თეითო ბუთილკა ღენო,  
 და ნაჭერი ქადისა. ხარაზს გარდა ამისა მისცა  
 ერთი ბაკალი შამფანსკიც და უთხრა:—თქვი  
 შესხმა! ხარაზმა შეპყვირა:

— მე ვრჩები ჩემს ხელობაში და მსურს  
 ახალი დაბადებულისათვის, რომ იმან თავის  
 საღვდევრდელათ რაც შეეძლოს ბეერი ზამა-  
 კები ცვიოთს!

— ძალიან კარგი! დაბოლოება მალენტინ-  
 მა:—ახლა კი წადით და ნუ დაივიწყებთ ყა-  
 საბს მალენტინს და როდესაც შეგვხვდეთ  
 თქვენც ამ გვარი სიხარული, თქვენც ვგრეთ-  
 ვე განუყოთ გარეშესაც, ქუჩიდან მოსულ-  
 სა; მიეცით იმათ საღვდესასწაულო ღენო და  
 ქადა.

მალენტინი სრულებით გამხიარულდა; ყვე-  
 ლა ძალიან ასამოგენა. ის, უთუოთ, დასამ-  
 და კიდევ ხელოსნის შაგირდებს სტოლზედ,  
 მაგრამ რაღაც ეუბნებოდა, რომ ეს მეტი იქ-  
 ნებოდა: ასე უფრო სჯობია, ამ გამოწვევილ-  
 მა საზოგადოებამ ნახა, რომ შეიძლება ქუჩი-  
 დგან ყველასი დაძახება, რომელიც ეკუთვნის  
 ნამდვილს მოქალაქეთ და იცის ლაპარაკი. ძა-  
 ლიან კმაყოფილი დაჯდა თავის სკამზედ.

— ძიდე არის პოეზია ქვეყანაზედ,—სთქე  
 ერთმა მშვენიერის ტანის ქალმა, მჯდომმა მა-  
 რჯენიე პასტორისა:—ზახსომთ ლექსი მეტესი:  
 „მაშ მალე გასწიე, მენსხენ, და მოიწვიე ახალს  
 სტუმრები! მინც. როგორც ნახო, ისე მობრძანდეს:  
 ასე სჯობია!“

— ჩვენ ვბოვებთ ამას მშვენიერად, მაგ-  
 რამ სხვა ნაირად კი ვიქცევით. მხოლოდ ეხ-  
 ლა სიტყვები გადავიდნენ მოქმედებაში.

— ძალიან ხშირად ჰპოვებენ მშვენიერად  
 იმას, რასაც თითონ არ იქმონენ, უპასუხა პა-  
 სტორმა.

მალენტინს აღარა ესმოდა, რა ხდებოდა  
 გარეშე; ის სულ ხელოსნის შაგირდებზედ  
 ფქობდა, როგორ შეექცევიან ღენოს და  
 როგორ იმათ უნდა სხვანაირად სჩვენებოდათ  
 მდიდრულს ზალაში უცრად გამოჩენა. შეი-  
 ლი-შვილებსაც კი მოუთხრობენ ამას, ფიქ-  
 რობდა ის.

ბოლოს სადილი აალაგეს; სტუმრები წა-  
 ვიდ-წამოვიდნენ. მალენტინი შევიდა ერთ მი-  
 ნუტს ძისწულთან და უთხრა:

— ადელგაიდა, ესლა მე ყველას გაბედვა  
 შემძლიან. ბინდა, ძალუას გაეგდებ სახლი-  
 დგან? ის ჩემს ხელშია. ბინდა?

ადელგაიდა ჩხვეწებოდა, ნუ იქ აპასაო,  
 თორემ უფრო მეტს წვალევაში ჩაევირდები,  
 ამიტომ რომ ყველას მე დამაბრალდებნო.

— როგორც გერჩიოს,—უთხრა და გავი-  
 და სასტუმროში. ამ დროს იქ შემოვიღ-  
 ბლუმე და მოახსენა ძალუას:

— მათი აღმატებულება უფ. კომენდანტი  
 თავისის მიუღლით მობრძანდებიან.

— რა უნდათ? შეპყვირა აღმფოთებულმა  
 ძ.ლუამ:—თუ ღმერთი გწამს, ძურტ, მოიშო-  
 რე როგორმე თავიდან ბიძა. კომენდანტის  
 მშვენიერი მეუღლე ჯერ ეალრსება და მერე  
 კი და ცინებს. მუქთად არ მობძანდება ის აქა.

როტმისტრი უამისოთაც ამღერეული იყო.  
 ძ.ლუას გაუტყდა, რომ ის ძალიან გაჯიგრე-  
 ბულია იმაზედ, და ისინი უნდა ბედნიერებათ  
 რაცხადნენ, რომ ყველამ ესე კარგათ ჩაიარა;  
 რომ, ყოველის უსათუოთ, ბიძას გაგებული  
 აქვს იმათი ეშმაკობა და ის, ამას მაგიერათ,  
 ისე კეთილშობილათ გვექცევა, და თავის ბი-  
 ძამვილზედაც, რომელსაც ეტყობოდა სურდა



ბიძის საყოველთაო მასხარად ავღება, გაჯავრებულა.

— ძარგი, მაგაზედ ჩვენ ხელ მოვილაპარაკებთ,— დაიწყო ძალუამ;— მხოლოდ ეხლა მიშველვ, როგორც მოვიშორათ.

— სახლიდან ხომ ვერ დავითხოვ? — მამ ყველას მე გავირავებ.

— საყვარელო ბიძავ, — განაგრძელა იმან: — თქვენი ნაცნობების ნახვა ხომ არ გნებავთ?

— არა, მე გადავიფურქე! შპასუნა მალენტინმა და ჩაჯდა კრესლოში.

IX

ძარგი გაილა; შემოვიდა კომენდანტი მეუღლით. ძალუა ისე მხიარული იყო თავისის უკეთესის მეგობრის, თავის ლამაზი შენის ნახვისა; როგორ კარგია იმის მხრით ამ სამხიარლო დღეს მობრძანება! მხლა სცნობს იმის გულს. კომენდანტმა მალეობას უხდოდა. ამ დროს როტმისტრმა წარუდგინა ბიძა კომენდანტს. კომენდანტმა მიულოცა და უთხრა, რომ იმის მძისწული ერთი უმშვენიერესი დამებთანაა ბარნიზონისა, კომენდანტმა სთხოვა მათიორშას, წარუდგინოს იმას ბიძა; იმან გაუშვირა ხელი და, რომ დაუბრუნდა ძალუას, რომ ძალიან კარგათ ესმის — ვის რა შეგებობას, მალენტინმა მარდათ აკოცა ხელზედ.

კომენდანტმა გაიღიმა. კომენდანტმა ჩამოაგდო ლაპარაკი ჯარის საზრდოზედ და კარგა ხანს ილაპარაკა. მალენტინმა გადასტრა, რომ კომენდანტი ძალიან ჭკუიანი კაციოა. ლაპარაკი გადავიდა სხვა საგნებზედ, და როტმისტრი სიამოვნებით უყურებდა, როგორ მშვიდობიანათ და ჭკუიანათ ლაპარაკობდა მალენტინი.

— ახლა დაჯექით, უფ. მალენტინო, მე ყურთ მაკლია, — უთხრა კომენდანტმამ.

— მე მაშინვე შევნიშნე, — უთხრა მალენტინმა: — ჩემს დასაც კარგათ არ ესმის, და ყველას, ვისაც ცუდით ესმით და ამასთანავე კეთილნი არიან, მაგისთანა ყურადმღებელი და კეთილშობილი სხე აქეთ.

— მადლობელი ვარ კომპლიმენტისათვის, მწუხ, რომ აგრე მალე მიდინართ; მე გთხოვდით გენახეთ ჩენა. მაგრამ სად არის თქვენი მძისწული? ჩენი ლამაზი ადელგაიდა? ბიტყლებით, ვგრძნობ იმასთან დიდ მეგობრობას.

— ძალიან მოხარული ვარ; მოხარული ვარ, რომ იმას ამისთანა კეთილი მეგობარი ჰყავს. მაგრამ ჩემი მძისწული დღეს დატუსაღებულია; თავის ნებით, სრულებით თავის ნებით; მე თითონ ვთხოვე ამაზედ. თანადამწრეთ გადახედეს ერთმანეთს, ჩეებს ლაპარაკობს? ხომ ცოტა მეტი არ გადაჰკრა? როტმისტრი უცქეროდა მათორშას, და ის სიჩქარით ატრიალებდა თავის ბრასლეტს მარჯვნივ და მარცხნივ.

— სხენარის გუნებაზედ დგებიან მეგობარნი, როდესაც სადილიდან დგებიან, — სთქვა კომენდანტმამ.

— აი, ჭკუიანი დედაკაცი! როგორ ყველა ესმის! სთქვა მალენტინმა და მიუბრუნდა მათორშას.

— შუ. კომენდანტო, მე მინდოდა შეკითხვა, თქვენს მეტს, აქვს ვისმეს იქ უფლება ვისიმე დატუსაღებისა?

ძალუა შეხტა ამ კითხვაზედ. რა სურს ამ საშინელს კაცს? ბრასლეტის ქვეშ ძალოვნად სცემდა მჯავ; ის იმ კაცის ხელში იყო — იმან უთოოთ ყველა იცის; ნუ თუ ყველას იტყოს, მერე რომ თუ სულ გამოსთქვას სწორეთ იმის მტრის წინ, რომელმაც დაიჭირა იმისი ქმრის ალაგი?... —

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მათორშამ შეხტა მალენტინს შესავედრებლის სახით; მაგრამ მუშტებს კი მაინც უჭერდა. მალენტინი იმას არ უცქეროდა. კომენდანტი დიდხანს ვერა პბედავდა, ბოლოს უთხრა:

— მე თქვენი კითხვა არ მესმის...

— მე მხოლოდ ისე გკითხებ — უპასუხა მალენტინმა და თავი დაუქნია მათორშას. მერე ადგა, მივიდა კარებთან და დაიძახა: — ადელგაიდა, აქ გამოდი ყმაწვილით.

ადელგაიდა გამოვიდა; ყმაწვილი ძიძას ეკირა.

ლაპარაკმა მიიღო ეხლა უფრო მსუბუქი მიმართულება. ბოლოს კამენდანტი და მისი მეუღლე წაიდნენ. მალენტინმა ადელგაიდას უთხრა: ბაისტუმრე ყმაწვილი, ეგ არ უნდა დაესწროს იმას, რაც ეხლა დაიწყება. მათორშასაც სურდა წასვლა, მაგრამ მალენტინმა ისეთ ნაირად დაუჭირა ხელი, რომ ბრასლეტები ხორცში ჩაჯდნენ.

— ღარიოთ, — უთხრა იმან, — ყველა ეს თქვენ შეგნებათ. ხედავთ, მე შემიძლიან თავის დაქვრა; მე შემეძლო თავს ლაფი დამესხა თქვენი მთელი საზოგადოების წინ, მე ამას არასდროს ირ ვიქ, ამიტომ რომ თქვენ ეკუთვნით ამ სახლობას. მხლა ჩვენ მარტოკანი ვართ. არც თქვენ, უფ. როტმისტრო, არც მე, ადელგაიდა, თქვენ ორთავემ არაფერი არა იცოდით რა; მაგრამ ამან — დახედეთ ამ ჩექმებს! აი, ამ ხელმა დასტრა ესენი, რომ არ შემძლებოდა კარზედ გასვლა; ეს ფუსფუსებდა იმაზედ, რომ არ გამოვიჩნდე ქალაქში და არ შეგარცხენოთ. აქამომდე მე ჩუმათ ვიყავი; ეხლა მეტი აღარ შემიძლია....

— ტურტ, არ მოუშვა ეგ საშინელი კაცი! ყვიროდა ძალუა.

— ნუ გეშინიან, ხელს არ გახლებ!

— იქ, სადაც მე ესრე უბატოურად მგოდებიან, დარჩენა არ შემიძლიან! დაიყვირა მათორშამ: მე თავს ვანებებ ამ სახლს.

როტმისტრი მიეშველა, ის მიუბრუნდა მალენტინს; ადელგაიდა იმ დროს სთხოვდა ძალუას, ნუ ჯავრობს; ფუნებოდა, რომ ყოველთვის იქნება იმისი მადლობელი და სურდა მოხვედროდა. მაგრამ ძალუამ შესძახა: — იქით შე ყასბის გავარდნილო!

— მე ნუ მელაპარაკებთ, აგერა აი, ამის ელაპარაკეთ, — უთხრა მალენტინმა როტმისტრს, მივიარდა და მიიკრა გულს ადელგაიდა. როტმისტრმა ჩუმათ რამოდენიმე სასტიკი სიტყვა უთხრა მათორშას.

— მე თავს ვანებებ ამ სახლს — მალლა სთქვა იმან: — ემ საათშივე თავს ვანებებ!

— თქვენ აქ ძალათ არაფერ გიჭერთ! შენიშნა მალენტინმა — და გაძლევ ბატონსან სიტყვას, რომ ეს ისტორია ჩვენშივე დარჩება. თუ თქვენვე ეტყვით ვისმე — თქვენთვისვე ცუდია.

— ჩატო არ მომეშვება, რა უნდა ჩემგან? ყვიროდა მათორშა. ტუჩები უთანახებდნენ და კბილები ენძროდნენ. ადელგაიდა მეორედ მივიარდა, დაშოშმანოს; მაგრამ მალენტინმა არ გაუშვა და აღარც ერთი ხმა ამოუღია, მათორშა გავარდა ოთახიდან; როტმისტრი გამოუდგა და მობრუნდა გაყვითლებული.

— წაიდა! თქვა და ჩამოაგდო თავი, შემდეგ დიდის ნაბიჯით წინ და უკან ოთახში სიარული დაიწყო.

— შუ. როტმისტრო, — უთხრა მალენტინმა: — მე ძალიან ავჩქარდი, მაგრამ, რა ექნა, ვეღარ შევიძელ მოთმენა.

— თქვენ არაფრის დამნაშავე არა ხართ. მოგვიტყვიეთ და დავიწყოთ ყველაფერი რაც მოხდა. მე უნდა გავტყდეთ, რომ ძალიან მიკვირს თქვენი მოთმენა. შეიძლებოდა ამაზე ცუდით ვათავებოლიყო საქმე..

გაუშვირა იმან ბიძას ხელი, დაიკუნა და აკოცა ცოლს.

— როგორ აღერსიანი იყო ბიძის მხრით, რომ უბრძანა ყმაწვილის გასტუმრება, — თქვა

იმან, და ისინი სამნიენი შევიდნენ ყმარწვილების ოთახში, შემოუსხდნენ აკანს და ისე გაატარეს ბინდამდის. ბოლოს ადელგაიდამ უთხრა:

— წადით, ახლა ნახეთ თქვენი მეგობრები.

— თქვენს გარდა მე აქ არაფერ მეყოლება მეგობარი, იმედი მაქვს, რომ ასარევედ არ მოვსულვარ აქ და ისევე უკან წავალ.

აკოცა მძინარეს ყმაწვილს და დაუშვა:

— ბედნიერა ხარ, რომ გეძინა და ვერა ხედავდი, რა სისულელე ხდებოდა აქ. იმედი მაქვს, რომ სუყველა ეს დაიწყებული ექნებათ, როდესაც შენ წამოიხდები....

X

მალენტინი წაიდა იმედი ღამესევე და კარგი რომ ცხენები კარგათ დახედნილები იყვნენ და გზაზედ იშვითად ხედებოდა ვინმე, ამიტომ რომ მალენტინს პოვოვკაში დაეძინა.

მხოლოდ წასვლამ გაანთავისუფლა ბლიტი ჯაჭვისაგან; ის ამის შემდეგ დიდხანს იბერტყებოდა, თითქო სურდა თვით მოგონებაც კი დაეგდო იმისა, რაც რომ შეემთხვა. — შუ, ფუ, შე საზიზღარო ქალაქო! მრცხენოდეთ ბატონსანი ძაღლის მაგვარად მოქცევა! და ან რა დაეშავე? უკბინე ვისმე, თუ რა? შუი, შეგარცხენოთ, თქვე გაუნათლებლებო! აიმ გაწრეტელ ძაღლს მარტო ჩემი ღონე ვაჩვენე; ხომ ვერ ავეყვებოდი და თავს არ გაუყადრებდი იმისთანა საძაგელს. დიდხანს იყო ამგვარ სჯავში და როდესაც უახლოვებოდნენ სოფელს, უკანასკნელად კიდევ მადლის ხმით გადუგლო ქალაქს ვინება. მალენტინმა უბრძანა დაჩუმდეს. ძაღლი დაჩუმდა, მაგრამ კიდევ რაღასაც გაუგებელს დიდხანს ბუტბუტებდა. მალენტინს დაეძინა და იმას ეხმანა, რომ ხალხი დასებად აღარ იყო დაყოფილი, მათ შუა განსხვავება არა იყო რა და სულ ერთნი იყვნენ.

მალენტინმა ცოლსაც კი არ გაავებინა — რა შეემთხვა იმას. და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, იმ დროს, როდესაც როტმისტრის პოლკი სატახტო ქალაქში გადიყვანეს, მოიგონებდნენ ხოლმე ბებერს ძალუას, რომელიც კიდევ აქამდისინ სცხვარებდა თავის ქალთან.

აქ თავდება ისტორია დატუსაღებულის ნათლიისა....

ნათ. მ. ს. — ისა

1871 წელს, იანვარი 24.

მ. სტაფროპოლი.

ნ ა რ ე პ ი

ნემეტურ ფაზეთებში სწერენ, რომ იქაურ მუშების კომიტეტს ერთ ქალაქში მიტინგი შეუკრებია, სადაც უკანასკნელ პარიკის არეულებაზე ჰქონათ ლაპარაკი. ამ მიტინგზე ძალიან ბევრი ხალხი, განსაკუთრებით მუშების მხრით, შეკრებილან და ორატორების უმთავრეს ნაწილს პარიკელებისთვის თანაგრძობა განუტყალებით და გამოუთქვამთ ის აზრი, რომ საფრანგეთის ყველა უკანასკნელ უბედურებაში ბრალი მერსალის მმართველობას, და არა პომუნას, უნდა ედგასო. მიტინგმა შემდეგი სიტყვებით (რეზოლიუციით) გამოსთქვა თავის აზრი: „პარიკელი მუშები არიან მოწინავე მებრძოლნი მერსალის პროლეტარიატისა (უმიწა-წყლო ხალხისა) და ტიერი და მისი თანამებრძოლნი კი ბარბაროსობისა და უსამართლოების უკანასკნელ მოვლენას წარმოგიდგენენ.“

\* \*

მდრდარს როტმილს პარიკეში ას ოცი სახლი აქვს. შესანიშნავიაო, ერთს ფრაცუზულს გაზეთში სწერენ, რომ უკანასკნელ არეულობის დროს არცერთი როტმილდის სახლი ინსურგენტებს არ დაუშვათ და საზოგადოთ იმის ქონებას არავითარი ზიანი არ მისცემიაო. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ როდესაც ნემეტები გარშემოერთყენ პარიკს, როტმილმა თით-

ქმის ორი მილიონი ზრანკი დაუბრუნა პარიკის ღარიბებს. მასაკვირველია, რომ უბედურების ყოველგვარი უბედურება ღარიბებს დაუწყება ნოღმზე კისურზე....

\* \*

იმ ლოგამ, რომელიც ამას წინეთ შესდგა პარიკეში მლხასისა და ლოტარინგის გასანთავისუფლებლოთ, ამ დღეებში შემდეგი პროკლამაცია გამოსცა, რომელიც საფრანგეთის ფაბრიკანტებს, ვაჭრებს და ბანკირებს მიჰპარათ:

„იმ ურიცხვ მსხვერპლში, რომელიც უკანასკნელმა ომიანობამ მოიხმოვა ჩვენგან, განსაკუთრებით ყურადღების ღრსი მლხასის და ლოტარინგის ახალგაზღვრბაა, რომელიც ან უნდა წავიდეს მერმანიაში საღდათად და ან უნდა მოშორდეს თავის სამშობლოს. მლხასელმა ახალგაზღვრბამ ან მერმანიის რაზმში უნდა ჩადგეს, ემსახუროს თავის მამაკედინებელ მტერს და შემდეგში აქნება თავის თანამომეხვესაც ებრძლოს, და ან უნდა მიატოვოს თავის სამშობლო, თავის მიწა-წყალი, ერთი სიტყვით, ყველაფერი რაც ძვირფასია კაცისთვის აღმზრდელ ქვეყანაში, და ერთობს უცხო ქვეყნებში, რომ როგორმე უღუქმავაჰყოთ არ ამოხდეს სადმე სული.“

ამ ორში ერთი და ერთი უნდა ამოიჩიოს მლხასის და ლოტარინგის ახალგაზღვრბამ. წარმოიდგინეთ იმათი მდგომარეობა! მამულისა და კაცის მოყვარეობა მოითხოვს ჩვენგან, რომ შეძლების დავგართ, შეუშლუბუქოთ ამ ჩვენ თანამომეხვეს იმათი გაჭირვებული მდგომარეობა. თქვენ ხელში გაქვთ ამათი შეწვევის ღონისძიება. უკანასკნელი ომიანობისგამო, თქვენ კანტორკში, თქვენ მალაზიებში და ლექნებში ბევრი ალაგები დაუტყრელი დარჩა, ისეთი ალაგები, სადაც წინეთ ნემცები გვეყნათ. ბთხოვთ, ამ ალაგებზე მლხასელი და ლოტარინგელი ახალგაზღვრბი მოიწვიოთ; იმათ იციან ფრანცუზული და ნემცური ენა, თადარიგისი ვაჭრობა და ამასთან პატიოსანი და შრომის-მოყვარენი არიან. მეზვერე და გამცემ ნემცების მაგივრათ თქვენ და საფრანგეთს ყოვლება ერთგული მოქალაქეები, და ეს ისეთი შესანიშნავი გარემოებაა, რომელიც ჩვენ მდგომარეობაში მყოფ ხალხს ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს. ამნაირათ, იმათი მოწვევით, თქვენ იზამთ პატრიოტულ და კაცთმოყვარულ საქმეს და ამასთანავე დაცვით იმ ჩვენ თანამომეხვეს, რომელნიც ფრანცუზებთ დაბადებულან და რომელთაც ფრანცუზებთ სიკუდილიც მსურთ.“

\* \*

ამ დღეებში მოკვდა თფილისის ერთი სომეხი, რომელიც 1761 წელს იყო დაბადებული, მამასადამე ის ყოფილა ას ათი წლისა.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„ღროებაზე“

მიიღება თფილისში — „ღროების“ რედაქციის კანტორაში (ხანის ქუჩაზე, მედიკიშვილის და კამ. სტამბაში) და ქუთაისში — მერასიმე ძალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

ხელ-მოწერის ვასი

მან. კაპ. ნახევარ წლისა, გაუზგანენლოთ — 3 და 50 თფილისში და სხვაგან, გაგზავნიოთ — 4 მან. მინც მთელი წლის „პრებულისა“ და ნახევარი წლის (1 ივლისიდან) „ღროების“ დაბარებას მოინდომებ, იმან ექვსი მან. უნდა გამოგზავნოს „ღროებისა“ ან „პრებულის“ რედაქციის კანტორაში.